



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/04

ქ. თბილისი

16 მარტი 2022

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი
ცენტრების გაუქმების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 21 იანვრის №01-05-04-/04 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2022 წლის 16 მარტის №01-06-02/01 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) გამოკითხვის წესით დაადგინა:

1. გაუქმდეს სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი შემდეგი ცენტრები:
 - ექსპერტიზის ცენტრი;
 - წყლის ხარისხისა და ტექნოლოგიების სამეცნიერო ცენტრი;
 - კიბერუსაფრთხოების სამეცნიერო-სასწავლო ცენტრი;
 - ინვესტიციების მოზიდვისა და მართვის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი;
 - საინოვაციო საპროექტო ცენტრი „წყალი“;
 - ქართული კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა და დაცვა;
 - მანქანათმშენებლობის მოწყობილობების ავტომატიზებული მართვის სისტემების სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრი;
 - მიწისქვეშა სივრცეების ათვისების სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ცენტრი;
 - ნ. მუსხელიშვილის სახელობის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ტექნიკური მომსახურების ცენტრი;
 - ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კვლევითი ცენტრი;
 - ს. დურმიშიძის სახ. ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ცენტრი;

- ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის გეოინფორმაციული ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი;
- ტექსტილისა და ტყავის ნაწარმის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი;
- წამლის ხარისხის კონტროლის ცენტრი;
- მანქანათა ნაწილებისა და ცვეთამედეგობის და სიმტკიცის კვლევის სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრი;
- არასტანდარტული ამოცანების ამოხსნის ალგორითმული და პროგრამული მეთოდების შესწავლის ცენტრი;
- გარემოს მონიტორინგისა და საინჟინრო ეკოლოგიის სასწავლო სამეცნიერო ცენტრი;
- წარმოებასთან კავშირის საინოვაციო სამეცნიერო-სასწავლო ცენტრი;
- რადიოტექნიკისა და ტელეკომუნიკაციის თანამედროვე ტექნოლოგიების პროექტირებისა და დანერგვის ხელშეწყობის ცენტრი;
- შენობა-ნაგებობებში ენერგოდამზოვი ტექნოლოგიების და განახლებადი ენერჯის გამოყენების ცენტრი;
- სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი GTUgem;
- მიკრობების გენური ინჟინერიის და ინდუსტრიული ბიოტექნოლოგიის ცენტრი;
- სეისმომედეგი ნაგებობების მშენებელთა გადამზადების ცენტრი;
- რუსული ენისა და კულტურის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი;
- ბიოგენური იზოპრენის მიღების ინოვაციური ტექნოლოგიების ცენტრი;
- სამეცნიერო, სასწავლო, საწარმოო სტუ – ეკოლოგიური დანადგარების ცენტრი;
- ტექნოლოგიური პროცესების მოდელირებისა და კომპიუტერული მართვის სისტემების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი;
- ხელოვნური ინტელექტის მეთოდების და ალგორითმების დამუშავების სამეცნიერო ცენტრი;
- სასურსათო ტექნოლოგიების სასწავლო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი;
- საერთაშორისო პროგრამებისა და პროექტების მომზადების ტრენინგ ცენტრი;
- სოზარ იაკობაშვილის სახ. სასწავლო-კვლევითი ცენტრი „შედულება“;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების სასწავლო ცენტრი;
- უცხო ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი;
- ტურიზმის მენეჯერთა და თარჯიმანთა მომზადების და გადამზადების სასწავლო ცენტრი;
- სარკინიგზო ინფრასტრუქტურის სამეცნიერო-სასწავლო ცენტრი;
- არჩევნების კვლევის ცენტრი;
- სურსათის უვნებლობის და ხარისხის მართვის ს/ს /ს ცენტრი;
- საშემდუღებლო მასალების წარმოებისა და ექსპერტიზის საერთაშორისო სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი;
- მეცხოველეობის ს/ს ცენტრი;
- ელექტროტექნოლოგიური დანადგარების კომპლექსისა და ელექტრომომარაგების სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრი;
- განახლებადი ენერჯეტიკის ტექნოლოგიების კვლევისა და დანერგვის ცენტრი;
- ჰიდროინფორმატიკის ცენტრი;
- აბიტურიენტთა მომზადების ცენტრი;
- ავტომატიზაციის სამეცნიერო-ტექნიკური ინოვაციების ცენტრი;

- ბიოინჟინერიის ცენტრი;
 - სლავური ენებისა და კულტურის ცენტრი;
 - გარემოსდაცვითი ტრეინინგ ცენტრი;
 - ელექტრონული სწავლების საკონსულტაციო ცენტრი;
 - ელექტრომექანიკის სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი;
 - მოლეკულური ფიზიკის ახალი წარმოდგენები მიკრო და ნანოტექნოლოგიებში სამეცნიერო-ტექნოლოგიური სასწავლო ცენტრი.
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი



ჯემალ გახოკიძე